# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 62

„2" სექტემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ვაზისუბნის III მ/რაიონის II კვარტლის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის მამისაანთუბნის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის პ/ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6-27 გადაწყვეტილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ისნის რაიონში, ვაზისუბნის III მ/რაიონის II კვარტლის მიმდებარე ტერიტორიასთან (ეფრემ ეშბას ქუჩასთან) მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ჩიხს მიენიჭოს მამისაანთუბნის სახელი თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ დადგენილების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

**2.** დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X_487557.153
Y_ 4617696.9922
X_487421.163
Y_ 4617740.6674
X_487344.6023
Y_ 4617804.2214
I ჩიხი
მამისაანოუბნის ქუჩა
X_487333.5752
Y_ 4617643.2266